ANS
Anziani e non solo
società cooperativa sociale

ჩვენ ხელს ვუწყობთ აქტიურ სიბერეს. აქედან გამომდინარე, მხარს ვუჭერთ ამ ასაკობრივ ჯგუფებში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე ციფრული უნარების განვითარებას. **იტალია**

aproximar
COOPERATIVA DE SOLIDARIEDADE SOCIAL, CRL

ჩვენ გთავაზობთ ორგანიზაციების სოციალური და ადამიანური კაპიტალის გაძლიერებას, მათი შესაძლებლობების გაზრდის საფუძველზე. **პორტუგალია**

ASSOC

ჩვენ ხელს ვუწყობთ სოციალურ ინტეგრაციას და ვაუმჯობესებთ მოწყვლადი ჯგუფების ცხოვრების პირობებს განათლების პროგრამებისა და დასაქმების შესაძლებლობების შეთავაზებით. **რუმინეთი**

BALKAN plan

ჩვენ გთავაზობთ საკონსულტაციო მომსახურებას, ტექნიკურ მხარდაჭერას და პროექტის განხორციელებას შემდეგი მიმართულებებით: განათლება და ტრენინგი; კომპიუტერული ტექნოლოგიები; კვლევა და ტექნოლოგიური განვითარება; საერთაშორისო ურთიერთობები. **ბულგარეთი**

GEORGIAN ARTS & CULTURE CENTER
GACC
ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი

ჩვენ ვართ ერთ-ერთი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ქართული კულტურისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, პოპულარიზაციასა და მდგრად განვითარებაზე. **საქართველო**

mad'in europe

ჩვენ წვლილი შეგვაქვს ტრადიციული რეწვის სფეროში ცოდნის და გამოცდილების დაცვა, გაღრმავებასა და განვითარებაში. **ბელგია**

Magnetar

ჩვენი ძირითადი საქმიანობა უკავშირდება ეროვნულ და ევროკავშირის მიერ თანა დაფინანსებულ პროექტებს ეკონომიკისა და განვითარების სხვადასხვა სექტორში. **კვიპროსი**

Co-funded by the Erasmus+ Programme of the European Union

Пр. н. 2020-1-IT02-KA227-ADU-095006

The European Commission's support for the production of this publication does not constitute an endorsement of the contents, which reflect the views only of the authors, and the Commission cannot be held responsible for any use which may be made of the information contained therein.

Craft 50+

მეტი ციფრული შესაძლებლობები 50 წელს გადაცილებულ ტრადიციული რეწვის ოსტატებს საკუთარი წარმოების უკეთ განვითარებისთვის



ევროპული პროექტი მიზნად ისახავს 50 წლის ან უფრო ასაკოვანი ტრადიციული რეწვის ოსტატების სამეწარმეო უნარების გაუმჯობესებას და მათთვის ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობების უკეთ გაცნობას

მოკლე აღწერა

ტრადიციული რეწვის და დეკორატიულ გამოყენებითი ხელოვნების პროფესიები მნიშვნელოვანია!

ტრადიციული ხელნაკეთი ნივთების წარმოება არის ადამიანზე ორიენტირებული პროფესიები, რომელიც საფუძველს ადგილობრივ ევროპული კულტურებიდან და ეკონომიკიდან იღებს, მათ შორის ცირკულარული ეკონომიკიდანაც.

პოსტეკონომიკური და ჯანდაცვის კრიზისის შედეგად სექტორი დადგა შემდეგი საფრთხეების წინაშე:

- **მცირე ზომის წარმოება = ნაკლები კონკურენტუნარიანობა;**
- **ასაკოვანი პროფესიონალები = შემოსავლებისა და პოპულარიზაციის ზრდისთვის საჭირო ციფრული უნარების ნაკლებობა;**
- **ერთმანეთთან ნაკლებად დაკავშირებული სექტორი და ადგილობრივი წარმოება = სუსტ კავშირს გლობალურ ბაზართან.**
- **ეკონომიკური და ჯანდაცვის კრიზისი = შემოსავლის დაკარგვა და უმუშევრობა**

პროექტი

Craft 50+

არის საგნმანათლებლო პროგრამა, რომელიც იმუშავებს ევროპის 7 პარტნიორი ქვეყნის ოსტატების უკეთ წარმოჩენაზე. პროექტი ასევე მიმართულია ოსტატების ციფრული უნარების გაძლიერებისკენ, რაც მათ შემოქმედებით შესაძლებლობების გააუმჯობესებაში დაეხმარება.



საერთაშორისო ბაზარზე 50 წელს გადაცილებული ოსტატების პროდუქციის პოპულარიზაცია, მათთვის ახალი შესაძლებლობების უკეთ გაცნობით;

ხელოსნობის ცოდნის შენარჩუნება;

ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ტრადიციის შეჯერება ინოვაციასთან;

მოსალოდნელი შედეგები

კვლევა, რომელიც ოსტატებისთვის წარმოების შექმნისა და უკეთ მართვის მიზნით, შეისწავლის რეწვის ხელშეწყობისა და მხარდაჭერის არსებულ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებს

ოსტატების გამოკითხვის საშუალებით საჭიროებათა ანალიზის მომზადება

რეწვის ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სასწავლო კურსი

ხელოვნებისა და რეწვის ინსტრუმენტარიუმი (Art and Crafts toolkit): ეს სახელმძღვანელო გააერთიანებს პროექტის ფარგლებში ოსტატების მიერ განვითარებულ უნარ-ჩვევებს

ბიზნესის დაწყების და წარმატებით განვითარების მოქმედებათა რუკა

პროექტის შედეგების მაქსიმალური გავრცელება სხვადასხვა ღონისძიებების საშუალებით